

ხშირად დასმული კითხვები

საკითხები:

კონკურსში მონაწილეობა
საგრანტო პროექტი
საპროექტო წინადადება
CV
ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, კონსულტანტი
გეგმა-გრაფიკი
ბიუჯეტი
დოკუმენტები
სხვადასხვა

კონკურსში მონაწილეობა

1. ამჟამად მაქვს შეჩერებული დოქტორანტის სტატუსი. მაინტერესებს მაქვს თუ არა უფლება, მონაწილეობა მივიღო კონკურსში და მოვიპოვო საგრანტო დაფინანსება?

პასუხი: დიახ. გამარჯვების შემთხვევაში, საგრანტო ხელშეკრულება გაგიფორმდებათ და გრანტი ჩაგერიცხებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტატუსს გაიაქტიურებთ და შესაბამის ცნობას წარმოადგენთ ფონდში.

2. წელს კიდევ გამოცხადდება დოქტორანტების ინდივიდუალური საგრანტო კონკურსი?

პასუხი: არა. კონკურსი ცხადდება წელიწადში ერთხელ. შემდეგი კონკურსი გამოცხადდება 2018 წელს.

3. შესაძლებელია თუ არა, რომ ნოტარიუსთან მინდობილობა გავაკეთო და „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფონდის კანცელარიაში წარმოადგინოს ნოტარიალურად დამტკიცებულმა მინდობილმა პირმა? და განცხადება მის მიერვე იყოს ხელმოწერილი?

პასუხი: დიახ, შეიძლება. ასეთ შემთხვევაში განცხადებას უნდა დაურთოთ ნოტარიალურად დადასტურებული მინდობილობა.

საგრანტო პროექტი

4. აუცილებელია თუ არა, რომ კონკურსში მონაწილე პროექტის და სადოქტორო თემის სახელები ზუსტად ემთხვეოდეს ერთმანეთს?

პასუხი: არ არის აუცილებელი.

5. რამდენად აუცილებელია, სადოქტორო თემა დამტკიცებული იყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ?

პასუხი: კონკურსში მონაწილეობისათვის არ არის სავალდებულო, რომ სადოქტორო თემა დამტკიცებული იყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ. ასეთ შემთხვევაში, თემის დამტკიცება უნდა აისახოს სადოქტორო პროექტის ფარგლებში შესასრულებელ ერთ-ერთ ამოცანად.

6. პროექტის ფაილების ატვირთვისას (დანართები) მათი სახელწოდებები იგივე დავტოვოთ?

პასუხი: დიახ.

საპროექტო წინადადება

7. საპროექტო წინადადებაში (დანართი 3), „პროექტისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა კვლევის მიზნებთან და ამოცანებთან“ ქვეთავში მოცემულ ცხრილში, რას ნიშნავს ლოკაცია?

პასუხი: ლოკაცია არის ადგილი, სადაც განთავსებულია ან განთავსდება გრანტის ფარგლებში შეძენილი კვლევისათვის საჭირო აპარატურა. აქ უნდა მიუთითოთ ფაკულტეტის, დეპარტამენტის ან ლაბორატორიის სახელი, როგორც სქოლიოშია განმარტებული.

8. ვაპირებ, რომ კვლევის გარკვეული ნაწილი განვახორციელო საზღვარგარეთის უნივერსიტეტში და გამოვიყენო ამ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს შეიძლება, ავსახო საპროექტო წინადადებაში (2.გ. ქვეთავში)?

პასუხი: დიახ, ეს უნდა ასახოთ.

9. შეიძლება თუ არა, რომ უცხოელი კონსულტანტი იყოს მენტორი?

პასუხი: დიახ, საპროექტო წინადადების 3.ა. ქვეთავში ხსენებული მენტორი შეიძლება იყოს უცხოელი კონსულტანტი ან სამეცნიერო ხელმძღვანელი.

10. ვაპირებ, განვახორციელო კვლევითი ვიზიტი უცხოეთში, მაგრამ ამ ეტაპზე არ ვიცი, რომელ უნივერსიტეტში. შეიძლება ეს ავსახო პროექტში?

პასუხი: დიახ. ამ შემთხვევაში თქვენ უნდა დაასაბუთოთ, ამ ამოცანის შესრულების რეალისტურობა, როგორ შეარჩევთ კვლევითი ვიზიტის ადგილს და რა გაძლევთ იმის საფუძველს, რომ უცხოური უნივერსიტეტი მიგიღებთ, როგორც ვიზიტორ მკვლევარს.

CV

11. დოქტორანტის CV-ში (დანართი 4) მე-5 და მე-6 ცხრილები ერთნაირია, ორივე უნდა შევავსოთ?

პასუხი: ეს ცხრილები განსხვავდება. მე-5 ცხრილში უნდა ასახოთ ის სამეცნიერო ღონისძიებები, სადაც იყავით მომხსენებელი, და შეავსოთ ინფორმაცია მოხსენების/პრეზენტაციის შესახებ; ხოლო მე-6 ცხრილში უნდა ასახოთ ის სასწავლო ღონისძიებები, სადაც იყავით მსმენელი, მათ შორის ის სასწავლო კურსები, რომლებიც გაიარეთ სხვა უნივერსიტეტებში.

12. დოქტორანტის CV-ში, უცხო ენების გრაფაში, როგორ აღვნიშნოთ ენის ცოდნის დონე?

პასუხი: მიუთითეთ შესაბამისი ლათინური ასოებით, მაგალითად B1.

13. ხელმძღვანელის CV-ში თუ შეიძლება, რომ მივუთითოთ 5-ზე მეტი პუბლიკაცია? მაგალითად, მას აქვს 30-მდე პუბლიკაცია ჩემს თემასთან დაკავშირებული.

პასუხი: საკმარისია მიუთითოთ 5 პუბლიკაცია. პუბლიკაციების ამორჩევის კრიტერიუმებია: სადისერტაციო თემასთან შესაბამისობა, რამდენად რეიტინგულ ჟურნალშია გამოქვეყნებული, რამდენად ახალი პუბლიკაციაა.

14. უნდა ითარგმნოს თუ არა უცხოელი ხელმძღვანელის CV და თანხმობის წერილი ინგლისურიდან ქართულად?

პასუხი: დიახ. საჭიროა თარგმანის დადასტურებული იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, კონსულტანტი

15. შეიძლება, თუ არა რომ პროექტის ფარგლებში დოქტორანტს ჰყავდეს ქართველი კონსულტანტი?

პასუხი: დიახ.

16. შესაძლებელია თუ არა, რომ დისერტაციის ხელმძღვანელს ჰყავდეს 2 ან მეტი დოქტორანტი?

პასუხი: დიახ, შეიძლება. კონკურსი შეზღუდვას არ უწესებს დისერტაციის ხელმძღვანელებს.

17. შეიძლება თუ არა, რომ დოქტორანტის ხელმძღვანელი იყოს მოწვეული პროფესორი?

პასუხი: დიახ, შეიძლება, თუ ამის უფლებას გაძლევთ სადოქტორო პროგრამა, რომელზეც სწავლობთ.

გეგმა-გრაფიკი

18. ვებ-გვერდზე ორჯერ არის გეგმა-გრაფიკი (დანართი 5) მოცემული, რომელი უნდა შევავსოთ?

პასუხი: უნდა შეავსოთ ის, რომელშიც ასახულია ცვლილება (ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 22 მარტის N19 ბრძანების შესაბამისად).

19. აუცილებელია თუ არა, ყოველი საანგარიშო პერიოდისათვის მოსალოდნელი შედეგის მითითება?

პასუხი: არ არის აუცილებელი. პროექტის მოსალოდნელი შედეგები უნდა მიუთითოთ იმ პერიოდში, როდესაც ეს შედეგი გექნება.

20. თუ საანგარიშო პერიოდებში მიღებული შედეგები წარმოადგენს კვლევის პროცესის ნაწილს, რომლის საბოლოო შედეგი იქნება სადისერტაციო ნაშრომის მომზადება, რა უნდა მივუთითო შედეგებში, დისერტაციის დაცვა?

პასუხი: ამოცანის შედეგებად ითვლება სტატია, მონოგრაფია, პატენტი, საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებაზე მოხსენება/პრეზენტაცია, რომლებიც უნდა აირჩიოთ გეგმა-გრაფიკის შესაბამისი სვეტის ჩამონათვალიდან. აქედან სავალდებულოა, მიუთითოთ მინიმუმ ერთი სტატია, რომელიც გამოქვეყნდება საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალში.

21. სავალდებულოა, რომ პროექტის საბოლოო შედეგი იყოს დოქტორის ხარისხის მინიჭება?

პასუხი: არა, ეს არ არის საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, მაგრამ პროექტი ორიენტირებული უნდა იყოს სადოქტორო ნაშრომის დასრულებაზე და მინიმუმ სარეცენზიოდ გაგზავნაზე.

22. საზღვარგარეთ სტაჟირების ან ვიზიტის შემთხვევაში, თუ იგი გრძელდება რამდენიმე თვე, შეიძლება თუ არა, რომ იგი იწყებოდეს ერთ საანგარიშო პერიოდში (ერთი თვე) და გრძელდებოდეს მეორე საანგარიშო პერიოდში (დანარჩენი ორი თვე)?

პასუხი: დიახ, შეიძლება.

ბიუჯეტი

23. კონკურსის პირობების თანახმად, გამარჯვების შემთხვევაში უნდა წარმოვადგინო აქტიური სტატუსის ცნობა, რათა გამიფორმდეს ხელშეკრულება და მივიღო გრანტი. შემიძლია თუ არა, შემოდგომის სემესტრის სწავლის გადასახადი დავიფინანსო გრანტიდან და ეს ხარჯი ავსახო საგრანტო პროექტის ბიუჯეტში?

პასუხი: დიახ, თქვენ შეგილიათ, გრანტის პირველი საანგარიშო პერიოდის სწავლის საფასური ასახოთ ბიუჯეტში. გამარჯვების შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც წარმოადგენთ აქტიური სტუდენტის სტატუსის ცნობას, თქვენ ჩაგერიცხებათ 1 საანგარიშო პერიოდის მთლიანი დაფინანსება, საიდანაც შეგიძლიათ აინაზღაუროთ 2017 წლის შემოდგომის სემესტრისათვის გადახდილი სწავლის საფასური. ასეთი შესაძლებლობა აისახება საგრანტო ხელშეკრულებაშიც, თუ თქვენ წარმოადგენთ ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს.

24. სწავლის გადასახადის ბიუჯეტში გათვალისწინების შემთხვევაში, საჭირო იქნება თუ არა, ანგარიშში წარმოვადგინო გადახდის დამადასტურებელი ცნობა?

პასუხი: დიახ.

25. შეიძლება თუ არა, რომ სხვადასხვა საანგარიშო პერიოდში განსხვავებული ოდენობის სტიპენდია მოვითხოვო?

პასუხი: დიახ, მაგრამ სტიპენდიის სახით მოთხოვნილი თანხა არცერთ პერიოდში არ უნდა აღემატებოდეს 5250 ლარს.

26. შემიძლია თუ არა, სტიპენდიის მოთხოვნა უცხოეთში კვლევითი ვიზიტის განმავლობაში? ეს წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის დანართი 11-ით განსაზღვრულ ყოველთვიურ დაფინანსებასთან?

პასუხი: სტიპენდია შეგიძლიათ მოითხოვოთ უცხოეთში კვლევითი ვიზიტის განმავლობაშიც.

27. საზღვარგარეთ ვიზიტის ხარჯი უნდა ავსახოთ შესაბამის უცხოურ ვალუტაში თუ ლარში?

პასუხი: ლარებში. ბიუჯეტის დაგეგმვისას ხარჯები უნდა იანგარიშოთ სავარაუდო კურსის მიხედვით. (საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი და კურსი ყოველდღიურად იცვლება) გამარჯვების შემთხვევაში, უცხოურ ვალუტაში ხარჯების გაწევისას კურსები დაანგარიშდება ხარჯის გაწევის დღეს არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გამარჯვების შემთხვევაში, გრანტის მიმღებებს ჩაუტარდებათ კონსულტაციები თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით.

28. შეიძლება თუ არა, რომ ბიუჯეტში გავითვალისწინო საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯი, თუ კონფერენცია ტარდება პროექტის დასრულების შემდეგ პერიოდში?

პასუხი: არა. პროექტით დაგეგმილი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნებისმიერი ტიპის აქტივობა უნდა შესრულდეს საგრანტო პროექტით განსაზღვრულ ვადებში.

29. შემიძლია თუ არა, მოვითხოვო უცხოეთში კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯები, როგორცაა საზღვარგარეთ გამგზავრების, ვიზის მოსაკრებელი და დაზღვევის თანხები და ეს ავსახო ბიუჯეტის მე-4 კატეგორიის ქვეშ?

პასუხი: დიახ. კვლევითი ვიზიტისათვის აუცილებელი ხარჯები უნდა ასახოთ „დისერტაციის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯების კატეგორიაში“. დაზღვევისათვის საჭირო თანხების გაწევისას, შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, ანაზღაურდება მხოლოდ სამოგზაურო დაზღვევის ხარჯები.

30. შეიძლება თუ არა, სადისერტაციო ნაშრომის და სამეცნიერო სტატიის რედაქტირებასთან დაკავშირებული ხარჯები გავითვალისწინო ბიუჯეტში?

პასუხი: „სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის საჭირო სხვა ხარჯების“ მუხლი შეიძლება ითვალისწინებდეს პუბლიკაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარჯს. თუმცა გაითვალისწინეთ, ინდივიდუალური სასწავლო-კვლევითი გრანტის ფარგლებში სხვა ფიზიკური პირისათვის შრომის ანაზღაურების გადახდა დაუშვებელია.

31. შეიძლება თუ არა, საგრანტო დაფინანსებით გადავიხადო პუბლიკაციის გამოქვეყნების თანხა მაღალ რეიტინგულ ჟურნალში, და ამისათვის გადავიხადო \$ 3000-მდე?

პასუხი: დიახ, თქვენ არ იზღუდებით პუბლიკაციისათვის გამოქვეყნებისათვის ხარჯებში. ასევე შესაძლებელია პუბლიკაციის გამოქვეყნების ხარჯის დაფარვა საგრანტო პროექტიდან მოხდეს ნაწილობრივ, იმ შემთხვევაში, თუ დარჩენილ თანხას დააფინანსებს მესამე მხარე, ან გრანტის მიმღები პირადი სახსრებით (მათ შორის სტიპენდიით).

32. შეიძლება თუ არა, საგრანტო დაფინანსებით გადავიხადო სასწავლო კურსის გადასახადი, რათა შევისწავლო ახალი მეთოდოლოგია კვლევის განხორციელებისათვის, რომლის გარეშეც ვერ მოვამზადებ საერთაშორისო რეიტინგული ჟურნალის მოთხოვნების შესაბამის პუბლიკაციას?

პასუხი: დიახ, შეიძლება. „სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის საჭირო სხვა ხარჯების“ მუხლი შესაძლოა ითვალისწინებდეს ყველა იმ ხარჯს, რომელიც არ მიეკუთვნება დანარჩენი მუხლების ხარჯვით კატეგორიებს და აუცილებელია საგრანტო პროექტით განსაზღვრული ამოცანების და ვალდებულებების შესასრულებლად.

33. ვაპირებ, გრანტის თანხით შევიძინო წიგნები. სათითაოდ უნდა ჩამოიწეროს რა წიგნის ყიდვას ვაპირებ და მიეთითოს თითოეულს ფასი თავისი ინტერნეტის ბმულიანად?

პასუხი: დაკონკრეტება საჭირო არ არის, თქვენ უნდა განსაზღვროთ საერთო ჯამში, რა თანხას გამოყოფთ ლიტერატურის შესაძენად და ეს უნდა ასახოთ პროექტის ბიუჯეტის მე-5 კატეგორიაში: სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის საჭირო სხვა ხარჯები.

34. აპარატურის შეძენისას (უცხოეთიდან გამოწერა) მომიწევს თუ არა, პროექტით შეძენილი ტექნიკის განბაჟება?

პასუხი: საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, გრანტით შესყიდული ქონება გათავისუფლებულია დღგ-სგან (რომელიც განბაჟების ძირითადი ნაწილია). გამარჯვების შემთხვევაში, გრანტის მიმღებებს ჩაუტარდებათ კონსულტაციები თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით.

35. კვლევისათვის მჭირდება რეაქტივების შეძენა. ამისათვის უნივერსიტეტმა უნდა გამოაცხადოს ტენდერი და შეარჩიოს მომწოდებელი კომპანია?

პასუხი: არა. ტენდერის გამოცხადება უნივერსიტეტის მიერ დოქტორანტურის გრანტის ფარგლებში არ ხდება. გრანტის მიმღები დამოუკიდებლად ახორციელებს საგრანტო პროექტთან დაკავშირებულ შესყიდვებს.

36. კონკურსის პირობების თანახმად, შემიძლია შევიძინო 1200 ლარამდე ღირებულების ლეპტოპი. თუ უფრო ძვირადღირებული ლეპტოპი მჭირდება, რა ვქნა?

პასუხი: უნდა მოიზიდოთ დამატებითი თანხები თანადაფინანსების ან თვითდაფინანსების სახით (მათ შორის სტიპენდიით).

37. ჩემი კვლევა ითვალისწინებს ექსპედიციებს. ქვეყნის შიგნით გადაადგილების მიზნით მატარებლის ბილეთის ყიდვის თანხა როგორ ავსახო ბიუჯეტში?

პასუხი: ექსპედიციის ხარჯები უნდა გაითვალისწინოთ „სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების ან/და სხვა სამუშაოების ხარჯის“ მუხლში. ექსპედიციის ფარგლებში შეძენილი მატარებლის ბილეთის ხარჯი უნდა აისახოს ზემოაღნიშნულ მუხლში. ექსპედიციის ხარჯები არ ითვალისწინებს დღიურ ხარჯებს.

38. შესაძლებელია თუ არა, უცხოელი თანახელმძღვანელის, ან კონსულტანტის არსებობის შემთხვევაში მისი შრომის ანაზღაურება მოხდეს დოქტორანტის მიერ მიღებული გრანტის ფარგლებში?

პასუხი: არა, დოქტორანტურის ინდივიდუალური სასწავლო-კვლევითი გრანტის ფარგლებში, რაიმე სახის შრომის ანაზღაურების გაცემა არ შეიძლება.

39. შესაძლებელია თუ არა, პროექტში ჩავართო დამხმარე პერსონალი (ფოტოგრაფი და მხატვარი) და გრანტიდან ავუნაზღაურო შრომა?

პასუხი: არა, დოქტორანტურის ინდივიდუალური სასწავლო-კვლევითი გრანტის ფარგლებში, რაიმე სახის შრომის ანაზღაურების გაცემა არ შეიძლება.

დოკუმენტები

40. დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი მაქვს, რომელიც გაცა 2017 წლის იანვრის თვეში. შეიძლება მისი წარმოდგენა, თუ აუცილებელია ახალი ფორმა?

პასუხი: აუცილებელია, რომ წარმოადგინოთ კონკურსის გამოცხადების პერიოდში - 2017 წლის 10 მარტიდან 28 აპრილის ჩათვლით - გაცემული დოკუმენტი.

41. საჭიროა თუ არა ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის უმაღლესი განათლების და აკადემიური წოდების დამადასტურებელი რაიმე ცნობა ან დოკუმენტი?

პასუხი: არა. ასეთ დოკუმენტს კონკურსის პირობები არ ითხოვს.

42. უცხოური ორგანიზაციიდან თანადაფინანსების ცნობაში, თანადაფინანსება ლარში უნდა იყოს ჩაწერილი?

პასუხი: თანადაფინანსების ცნობაში თანხა მითითებული უნდა იყოს იმ ვალუტაში, რომელ ვალუტაშიც ხორცილდება დაფინანსება უცხოური ორგანიზაციის მიერ. ხოლო საპროექტო დოკუმენტაციაში (თავფურცელში - დანართი 2, საპროექტო წინადადების ბიუჯეტის დასაბუთებაში - დანართი 3 და ბიუჯეტში - დანართი 6) შეგიძლიათ გადაიყვანოთ ლარებში ეროვნული ბანკის მიმდინარე კურსის გათვალისწინებით.

43. თანადაფინანსებაში თუ ითვლება უცხოური კვლევითი ინსტიტუტის მიერ, მისივე ლაბორატორიაში კვლევების ჩატარების უფლება?

პასუხი: არა, თანადაფინანსებაში ითვლება მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც გამოისახება კონკრეტულ თანხაში.

44. საჭიროა თუ არა, რაიმე სხვა დოკუმენტის წარდგენა ფონდში ფიზიკურად, გარდა კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებისა?

პასუხი: არა.

45. დოქტორანტის წინა აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებში მხოლოდ მაგისტრის დიპლომი იგულისხმება? თუ შეიძლება სხვა დოკუმენტების ატვირთვაც (მაგ. TOEFL, საზაფხულო სკოლის სერტიფიკატი)?

პასუხი: საკმარისია მაგისტრის ხარისხის დიპლომის ატვირთვა. შეგიძლიათ ატვირთოთ აკადემიური წარმატების/მიღწევების ამსახველი სხვა დოკუმენტიც.

სხვადასხვა

46. დაფინანსების მოპოვების შემდეგ დოქტორანტს შეუძლია თუ არა სხვა კონკურსებში მონაწილეობა?

პასუხი: გააჩნია კონკურსს. მაგალითად, ამ კონკურსის გამარჯვებულებს ეკრძალებათ მონაწილეობა მიიღონ მეორედ ამავე კონკურსში, რომელიც გამოცხადდება მომავალ წელს. მაგრამ უფლება გაქვთ, ძირითადი პერსონალის სტატუსით მონაწილეობა მიიღოთ ფუნდამენტური კვლევებისათვის საგრანტო კონკურსში, რომელიც გამოცხადდება წელს.